# ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 106

2017 წ. “28“ 09

ქ. თბილისი

**შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N103 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N 103 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით, მათ შორის საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 130 - ით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის 100 -ით დანართის შესაბამისად.

დანართი:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | მესამე | ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 65 | ქართული | 28 | ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1 |
| 2 | კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპი) | მესამე | კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | ქართული | 27 | ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1 |
| 3 | ბუღალტერი | მესამე | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 | ქართული | 21 | ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1 |
| 4 | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი | მესამე | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. N 1 |

2.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 28 სექტემბრის №26 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე